

**მწვანე ალტერნატივას შენიშვნები**  
**მდინარე აჭარისწყალზე შუახევი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე**  
**ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე**  
**1 ივლისი, 2013 წ.**

**რეზიუმე**

ნორვეგიული კომპანია „ქლინ ენერჯი ინვესტის“ (Clean Energy Invest, CEI) შვილობილი კომპანია შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ (Adjariistsqali Georgia LLC, AGL) მიერ მომზადებული „მდ. აჭარისწყალზე შუახევი ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში“ წარმოდგენილი სახით ვერ აკმაყოფილებს დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის გაცემისათვის საჭირო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

1. პროექტის ეკონომიკური დასაბუთება და ალტერნატივების კვლევა, მათ შორის ნულოვანი ალტერნატივის არასრულყოფილია. გზშ ანგარიშში არ არის განხილული პროექტის უპირატესი ვარიანტის ტექნიკურად და ფინანსურად შესატყვისი ალტერნატივები; წარმოდგენილი უპირატესი ვარიანტის მიზანშეწონილობა არ არის დადგენილი, რაც წინააღმდეგობაში მოდის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოსდაცვით და სოციალური პოლიტიკასთან, ასევე საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე პროექტის მიზანშეწონილობის დასაბუთება შეუძლებელია, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას წარმოადგენს. ანგარიშში გაკეთებული დასკვნა, რომ პროექტი მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი იქნება რეგიონისთვის, არ შეესაბამება სინამდვილეს.

2. გზშ ანგარიშის ხარვეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ზოგიერთი საკითხი არ არის სათანადოდ/ბოლომდე შესწავლილი. ამის გამო, გზშ ანგარიშში არ მისცემს საშუალებას ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩამტარებელ ორგანოს, მართებულად შეაფასოს მიღებული საპროექტო გადაწყვეტა, მისი ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით; შეამოწმოს პროექტის შესაბამისობა კანონმდებლობასთან და შეზღუდვების მიღებულ სისტემასთან, შეადგინოს დასკვნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის უტყუარობისა და მის საფუძველზე მიღებული საპროექტო გადაწყვეტების მართებულობის შესახებ (როგორც ამას მოითხოვს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი). გზშ ანგარიშის წარმოდგენის მომეტნისათვის, კომპანიას არ აქვს დასრულებული მთელი რიგი კვლევები გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა:

- გზებისა და ხიდების მშენებლობა
- გეოლოგიური რისკების შეფასება
- მშენებლობის შემთხვევაში ტყის ჭრის საკითხები
- ბუნებიდან „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების გარემოდან ამოღების საკითხები
- ბოტანიკური კვლევები
- ძუძუმწოვრებთან დაკავშირებული კვლევები და შემარბილებელი ღონისძიებები
- ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის პროგრამა (*გზშ-ში აღნიშნულია, რომ ის შემდგომში მომზადდება, ხოლო კანონმდებლობის მიხედვით: გზშ ანგარიშში უნდა მოიცავდეს „საქმიანობის განხორციელებისა და მიმდინარეობის ეტაპისათვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შემუშავებას, სადაც გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვითმონიტორინგის პროგრამა“.* ეს ხარვეზი კი წარმოადგენს უარყოფითი ეკოლოგიური დასკვნის გაცემის საფუძველს.
- არადამაჯერებელი და წინააღმდეგობრივია დერივაციის მონაკვეთებზე მდინარის ეკოლოგიური ხარჯის გამოთვლის საკითხი, მათ შორის გავლენა იქთიოფაუნაზე.
- არასაკმარისია შემოთავაზებული შემარბილებელი და ეკო-საკომპენსაციო ღონისძიებები; ეს უკანასკნელი სხვადასხვა თავში სხვადასხვა შინაარსითაა წარმოდგენილი.
- არასაკმარისადაა (მსუბუქად) შეფასებული დაცული ტერიტორიების სისტემაზე პროექტის ზეგავლენა.

3. გზშ ანგარიშიდან არ ჩანს, მოგვარებულია თუ არა პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (იძულებითი გადასახლება, ქონების სრულფასოვანი

კომპენსაცია, კერძო თევზმეურნეობების მფლობელთა ინტერესების დაცვა). გაუგებარია, იღებს თუ არა ინვესტორი კომპანია პასუხისმგებლობას თუ პროექტის ზეგავლენის არეალში განვითარდება უარყოფითი გეოლოგიური პროცესები.

აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების შემთხვევაშიც კი, როგორც ეს გზშ ანგარიშიდანაც ჩანს, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენა მნიშვნელოვანი იქნება (ბიომრავალფეროვნების კარგვა, ეკოსისტემური სერვისების შემცირება, გეოლოგიური რისკების ზრდა, ზღვის სანაპირო ზოლის ეროზია). **ამრიგად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შემთხვევაში, აუცილებელი იქნება შემდეგი პირობების განსაზღვრა:**

1. ამ ეტაპზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში არ უნდა დადგინდეს მდინარის ეკოლოგიური ხარჯის ოდენობა. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამატებით პირობად განისაზღვროს: მდინარეების ეკოლოგიური ხარჯი დადგინდეს მხოლოდ მშენებლობის პროცესში რამდენიმეწლიანი მონიტორინგის შედეგად, იმ სახით, რომ არიდებული იქნას ბიომრავალფეროვნების შეუქცევადი დეგრადაცია.
2. პროექტის შედეგად დაგროვებული ინერტული მასალების (ფუჭი ქანების) განთავსებისათვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს ალტერნატივს, რომლის თანახმადაც ფუჭი ქანების ტრანსპორტირება და საბოლოო განთავსება მოხდეს მდინარე ჭოროხის ზღვასთან შესართავთან.
3. პროექტის მიმართ ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი და ამავდროულად, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით დაცული სახეობის - წავის დაცვის მიზნით, აუცილებელი განისაზღვროს დამატებითი შემრბილებელი ღონისძიებები, რათა აცილებული იქნას ცხოველების დაღუპვა დერივაციულ მიწებში ან მიწების ცხაურებზე. შემარბილებელი ღონისძიებების სახით, უნდა განისაზღვროს სადერივაციო გვირაბების მიმდებარე ტერიტორიის (დაახლოებით 300 მ) შემოღობვა სპეციალური ღობეებით და ამ სახეობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები, რომლებსაც მიმართავენ ევროპულ ქვეყნებში ანალოგიური პროექტების დროს.
4. პროექტის განხორციელების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ბუნებრივ და სოციალურ-კულტურულ გარემოზე ზეგავლენა იქნება იმდენად დიდი, რომ შემარბილებელი ღონისძიებების შესრულება არ იქნება საკმარისი. ამდენად დადგება ბიომრავალფეროვნებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საჭიროება. **თუ სახელმწიფო რეალურად არის დაინტერესებული აჭარისწყალზე ჰესების კასკადის მშენებლობით, მან თავადაც უნდა აიღოს ვალდებულებები ამ კუთხით და არ მხოლოდ ინვესტორს დააკისროს პასუხისმგებლობა.** ჰესების მშენებლობისა და ოპერირების შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ, biodiversity offset-ის სახით, უნდა მოხდეს არსებული დაცული ტერიტორიების გაზრდა (უპირველეს ყოვლისა მაჭახელის. გზშ დოკუმენტში რამდენჯერმეა ნახსენები, რომ კომპანიის მიერ ბიომრავალფეროვნების კომპენსაციების განხორციელება დამოკიდებულია მაჭახელის ეროვნული პარკის ფართობაზე), ასევე მდ. ჩირუხისწყალის და სხვა პატარა მდინარეების ზედა დინებებში ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება და გაძლიერება. როგორც გზშ-შია აღნიშნული (გვ. 309, „6.5. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება“), საქართველოს ეკისრება ვალდებულება, შეასრულოს „აიჩის ბიომრავალფეროვნების მიზნები“ (Aichi Biodiversity Targets), რომელთაგან ერთ-ერთია 2020 წლამდე ქვეყნის დაცული ტერიტორიების ქსელის გაზრდა ქვეყნის ტერიტორიის 17%-მდე. **სახელმწიფოს ვალდებულებები აჭარაში დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებით, უნდა განისაზღვროს მთავრობის შესაბამისი აქტით პროექტის განხორციელების დაწყებამდე.**
5. სანებართვო პირობებში შევიდეს შემდეგი მოთხოვნა: კომპანიას, ბიომრავალფეროვნების „ოფსეტის“ სახით, დაეკისროს ვალდებულება, ჩამოაყალიბოს ბიომრავალფეროვნების კომპენსაციის ფონდი, რომელიც მოხმარდება დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება-გაძლიერებას აჭარაში, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს, ამ საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და სხვა კონსერვაციულ ქმედებებს. კომპენსაციის ამგვარი მექანიზმი განხორციელდა ყულევის ტერმინალის მშენებლობის დროს.
6. სანებართვო პირობებში განისაზღვროს ინვესტორის პასუხისმგებლობა ადგილობრივ მოსახლეობასთან მიმართებაში, ჰესების ფუნქციონირების პერიოდში უარყოფითი გეოლოგიური პროცესების განვითარების შემთხვევაში